



ორჯევე ევერესტს?  
ესე იგი ორჯევე  
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი .....  
სკოლა .....  
მათემატიკის მასწავლებელი .....

1) კალათში და ვედროში ერთნაირი რაოდენობის ვაშლები ეწყო. ვედროდან 2 ვაშლი ამოიღეს და შეჭამეს. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ვაშლი ამოიღეს ვედროდან?

- 1) 2-ს                      2) 3-ს                      3) 4-ს                      4) 5-ს                      5) 6-ს



ბ) რამდენი ვაშლით ნაკლები დარჩა ვედროში, ვიდრე კალათში?

- 1) 1-ით                      2) 2-ით                      3) 3-ით                      4) 4-ით                      5) ამის გაგება შეუძლებელია



გ) რამდენი ვაშლი უნდა გადადონ კალათიდან ვედროში იმისათვის, რომ კალათში და ვედროში ვაშლების რაოდენობა ერთნაირი იყოს?

- 1) 1                      2) 2                      3) 3                      4) 4                      5) ამის გაგება შეუძლებელია

2) ორი რიცხვის ჯამია 32. პირველი შესაკრები მეორე შესაკრებზე 3-ჯერ მეტია. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რას უდრის ჯამი?

- 1) 8-ს                      2) 12-ს                      3) 20-ს                      4) 22-ს                      5) 32-ს



ბ) რამდენჯერ მეტია პირველი შესაკრები მეორე შესაკრებზე?

- 1) 2-ჯერ                      2) 3-ჯერ                      3) 4-ჯერ                      4) 8-ჯერ                      5) 24-ჯერ



გ) რას უდრის მეორე შესაკრები?

- 1) 24-ს                      2) 22-ს                      3) 20-ს                      4) 12-ს                      5) 8-ს

3) ერთმა სამშენებლო კომპანიამ ცხრასართულიანი სახლი ააშენა, მეორემ – თორმეტსართულიანი. მეორე კომპანიამ სახლის აშენებას 27 დღით მეტი მოანდომა, ვიდრე პირველმა კომპანიამ. ორივე კომპანია თითოეული სართულის აშენებას ერთი და იგივე დროს ანდომებდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი დღით მეტი მოანდომა სახლის აშენებას მეორე კომპანიამ პირველ კომპანიასთან შედარებით?

- 1) 3-ით                      2) 9-ით                      3) 12-ით                      4) 27-ით                      5) 81-ით



ბ) რამდენი სართულით მეტი ააშენა მეორე კომპანიამ პირველ კომპანიასთან შედარებით?

- 1) 3-ით                      2) 9-ით                      3) 12-ით                      4) 27-ით                      5) 81-ით



გ) რამდენი დღე მოანდომა სახლის აშენებას პირველმა კომპანიამ?

- 1) 9 დღე                      2) 27 დღე                      3) 36 დღე                      4) 81 დღე                      5) 108 დღე

4) ბებიას 24 ლარი ჰქონდა. მან 3 ლარიანი სავარცხელი იყიდა, დარჩენილი თანხა კი თავის შვილიშვილებს თანაბრად გაუნაწილა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი ჰქონდა ბებიას?

- 1) 27 ლარი      2) 24 ლარი      3) 21 ლარი      4) 18 ლარი      5) 14 ლარი



ბ) რამდენლარიანი სავარცხელი იყიდა ბებია?

- 1) 24 ლარიანი      2) 21 ლარიანი      3) 4 ლარიანი      4) 3 ლარიანი      5) 2 ლარიანი



გ) სავარცხელის ყიდვის შემდეგ რამდენი ლარი დარჩა ბებიას?

- 1) 0 ლარი      2) 3 ლარი      3) 21 ლარი      4) 24 ლარი      5) 27 ლარი



დ) რამდენი შვილიშვილი ჰყავს ბებიას, თუ თითოეულს 3 ლარი შეხვდა?

- 1) 24      2) 21      3) 8      4) 7      5) 3



5) ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ერთ მეტრზე 5 მილიმეტრით ნაკლები?

- 1) 95 სმ      2) 95 მმ      3) 995 სმ      4) 995 მმ      5) 9995 მმ



6) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- ნებისმიერ პირამიდას იმდენი წვერო აქვს რამდენიც წახნაგი;
- ნებისმიერ პირამიდას 3-ზე მეტი წვერო აქვს;
- კუბს 2-ით მეტი წვერო აქვს, ვიდრე წახნაგი;
- კუბს 2-ჯერ მეტი წიბო აქვს, ვიდრე წახნაგი;
- კუბს 4-ით ნაკლები წვერო აქვს, ვიდრე წიბო.

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) ხუთი



7) ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან რამდენია მცდარი?

$74 + 10 \times 10 = 7400$        $74 + 10 \times 10 = 840$        $47 + 10 \times 10 = 570$        $47 + 10 \times 10 = 147$

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) არც ერთი




8) ნიკამ მაღაზიაში ორმოცდარვაფურცლიანი რვეული იყიდა. მან რვა ფურცელი მთლიანად ნახატებით შეავსო. რვეულის დანარჩენ გვერდებზე ნიკამ ამოცანები უნდა დაწეროს. თითოეული გვერდის ამოცანებით შევსებას 3 წუთი სჭირდება. სულ რამდენი წუთი დასჭირდება ნიკას რვეულში დარჩენილი გვერდების ამოცანებით შესავსებად?

- 1) 43 წუთი      2) 80 წუთი      3) 120 წუთი      4) 144 წუთი      5) 240 წუთი

7 9) დაფაზე 3 ერთნიშნა რიცხვი წერია. სამივე რიცხვის ერთმანეთზე გამრავლების შედეგად მიიღება 24. რას უდრის დაფაზე დაწერილ რიცხვებს შორის უდიდესი?

- 1) 24-ს      2) 8-ს      3) 6-ს      4) 4-ს      5) ამის გაგება შეუძლებელია

7 10) სახლი, მაღაზია, სკოლა და სასტუმრო ერთ სიგრძეზეა განლაგებული (სურათი 1). სკოლა, მაღაზიასა და სასტუმროს შორის ზუსტად შუაში მდებარეობს. სახლი, სკოლიდან 148 მეტრით არის დაშორებული, ხოლო მაღაზია სასტუმროდან – 248 მეტრით. რა მანძილია სახლსა და სასტუმროს შორის?




- 1) 124 მეტრი      2) 262 მეტრი      3) 272 მეტრი      4) 322 მეტრი      5) 396 მეტრი

8 11) ლადოს აქვს 2 ცალი სამკილოგრამიანი და 1 ცალი ერთკილოგრამიანი გირი. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- ლადოს თევშებიანი სასწორისა და თავისი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლია 7 კილოგრამი ფქვილი აწონოს;
- ლადოს თევშებიანი სასწორისა და თავისი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლია 6 კილოგრამი ფქვილი აწონოს;
- ლადოს თევშებიანი სასწორისა და თავისი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლია 5 კილოგრამი ფქვილი აწონოს;
- ლადოს თევშებიანი სასწორისა და თავისი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლია 4 კილოგრამი ფქვილი აწონოს;

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) არც ერთი

8 12) ნიკას 12 ცალი ასანთის ღერი ჰქონდა. მან ასანთის ღერები ერთმანეთს მიაწება (სურათი 2). მიწებებული ასანთის ღერებით ნიკამ სამნიშნა რიცხვების შედგენა დაიწყო. ყველაზე მეტი რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული სამნიშნა რიცხვის შედგენა შეუძლია ნიკას? (რიცხვები ერთმანეთს არ უნდა ეხებოდეს)



- 1) 3      2) 6      3) 9      4) 12      5) 15

1 0 13) კარავი გაიაფების შემდეგ 102 ლარიან ქურთუკზე 46 ლარით ნაკლები ღირს. გაიაფებამდე კარავი 83 ლარიან საძილე ტომარაზე 17 ლარით იაფი ღირდა. რამდენი ლარით გაიაფდა კარავი?

- 1) 48 ლარით      2) 30 ლარით      3) 24 ლარით      4) 20 ლარით      5) 10 ლარით

1 0 14) გვაქვს სხვადასხვა წონის სამი მონეტა და თევშებიანი სასწორი. მინიმუმ რამდენი აწონვა იქნება ნებისმიერ შემთხვევაში საკმარისი იმისთვის, რომ გავარკვიოთ რომელი მონეტაა ყველაზე მძიმე და რომელი – ყველაზე მსუბუქი?

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) ხუთი